სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი და მის მიმართ გააჩნია აღნიშნული შენიშვნები :

აღნიშნული თანხმობის გაცემა მიზანშეწონილი იქნას საკითხის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

შესაბამისად საჭიროა დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფს საკითხის სრულყოფილ და ობიექტურ განხილვას,

აღნიშნულის გათვალისწინებით დაევალოს მერიის შესაბამის სამსახურს განმარტებითი ბარათის სახით წარმოადგინოს საშტატო რიცხოვნობისა და საფინანსო გაანგარიშების სამუშაო ვერსია ბიუროს სხდომაზე.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

კომისიამ განიხილა ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი და მის მიმართ გააჩნია აღნიშნული შენიშვნები:

აღნიშნული თანხმობის გაცემა მიზანშეწონილი იქნას საკითხის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

შესაბამისად საჭიროა დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფს საკითხის სრულყოფილ და ობიექტურ განხილვას,

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაევალოს მერიის შესაბამის სამსახურს განმარტებითი ბარათის სახით წარმოადგინოს საშტატო რიცხოვნობისა და საფინანსო გაანგარიშების სამუშაო ვერსია ბიუროს სხდომაზე.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.